



# დღესუბი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და ქინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი № 6 (150) დეკემბერი 2021 წელი

## გილოცავთ ასალ ფელს!!!



ნიკოლოზ ფუტყარაძე  
მიფრინავენ წეროები



გვ. 2,3

სებასტიან-ადელმო ფონ მახარაშვილი  
ყავა, კლედი და ორი  
მემობარი

გვ. 6,7

ნინო გაბადავა  
სტობს თოჯინა შობო,  
ვიდრე არაფერი



გვ. 4-5

## მიფრინავენ წაროები



მიხეილ კალატოზიშვილის ფილმი „მიფრინავენ წაროები“ გადაღებულია 1957 წელს. ეს თარიღი ხაზგასასმელია, რადგან დღევანდელი გადმოსახედიდანაც კი შესაშურია მსგავსი რეჟისორული ხედვა, კამერის მოძრაობა, მუსიკალური შტრიხები და ადამიანის განცდების გადმოცემის უნიკალური მეთოდები. რაც არ უნდა დაიწეროს, მისი წარმატება საერთაშორისო დონეზე ყველაფრის მთქმელია. ეს ნამუშევარი გენიალურია, რადგან სტრუქტურა, კინომეტაფორები და სიუჟეტის მეტამორფოზა სუბიექტურად მრავალფეროვანი და ობიექტურად უნიკალურია. ეს არის ერთგვარი მასტერკლასი რეჟისორისგან...

„მიფრინავენ წაროები“ რევოლუციაა საბჭოთა კინოში. სუბიექტური კამერის მეთოდი აქ მხოლოდ ცარიელი ფორმა და ტექნიკური ხრიკი არ არის. ის გადმოსცემს პერსონაჟთა განცდებს და მაყურებელს საკუთარი თვალით ანახებს თითოეულ ეპიზოდს, ასისხლხორცებს პერსონაჟს. კრიტიკოსთა ნაწილი ფილმში „მარილი სვანეთს“ სუბიექტურ კამერას ფორმად მოიხსენიებდა და მის შინაარსთან ბმას უარყოფდა, თუმცა სურათში „მიფრინავენ წაროები“ ეს ხერხი ფანტაზიის დიპაზონს ზრდის და გვეხმარება გავიგოთ რეჟისორის სათქმელი. კარდინალურია ის კონკრეტული მეტაფორები, რომლებიც ფილმში მრავლადაა. მაგალითად, მთავარი გმირის, ვერონიკას შესვლის სცენა დაბომბილ ბინაში, სადაც ის ხედავს, რომ ომმა წაართვა ოჯახი და სახლი – მსახიობი უსიტყვოდ, თვალეზით გადმოსცემს სიძულვილს. შემდეგ

ყურადღებას იქცევს კედლის საათი, რომელიც ჯიუტად განაგრძობს დროის ათვლას დაბომბილი, განადგურებული ქალაქის ფონზე. დრო აქ ღმერთის იარაღია, რომელსაც ომები და გმირთა ტრაგედიები ვერ დაადუმებს. შემდეგი მომენტი, სადაც ფილმი გადამწყვეტ ფაზაში შედის, არის მონიკას და თავისი საქმროს ძმის ურთიერთობა, რომელიც ვითარდება განგაშის სირენების ფონზე. გმირი უარს ამბობს წავიდეს თავშესაფარში, მარკი კი იწყებს პიანინოზე დაკვრას. მუსიკის და დამანგრეველი ხმების სინთეზი ადამიანური ფსიქიკის ფსკერია. ამ სინთეზს ენაცვლება ბომბების ხმა, ხოლო ცოტა ხანში ბედს დანებებული მონიკა ხელში აყვანილი მიჰყავს მარკს. იატაკზე დამსხვრეული მინის ფონზე, მონიკას სახე ახლო კადრით ჩანს და ჩვენც ვგრძნობთ, რომ მთავარი გმირი მინასავით დამსხვრეულია. ამ მონაკვეთში კომპოზიტორი მოისი ვაინბერგი გენიალურად ახერხებს გმირთა სამყაროს გადმოცემას მძაფრი და მაღალტემპიანი მუსიკით. სწორედ ეს მონაკვეთი გახდა მთავარი განსჯის საგანი საბჭოთა კავშირში. ხრუმჩოვი მთავარ გმირს კახპას უწოდებდა, ხოლო მაყურებელი გაიყო ორ ბანაკად, სადაც პირველი უთანაგრძნობდა მონიკას, მეორე კი ვერ პატიობდა, რომ მან არ ან ვერ უერთგულა საქმროს.

საბჭოთა კავშირში ერთგულებისა და, ზოგადად, მორალის კომპლექსური გაგება იყო, ამიტომაც რეჟისორი სუბიექტური კამერით პერსონაჟთა განცდებს მაქსიმალურად რეალურად გვაჩვენებს.



◀ 2 გვ.

ზემოხსენებული მონაკვეთი ფილმს აქცევს პროტესტად. მთავარი გმირის საქციელი შეუსაბამოა საბჭოთა ადამიანის მორალთან, თუმცა რეჟისორი ცდილობს გამოიყენოს არაერთი ხერხი იმისთვის, რომ მაყურებელს სულ სხვა თვალთ დაანახოს მოცემულობა. ამის მაგალითია ეპიზოდი, სადაც მონიკა საავადმყოფოდან გარბის. აქ მონტაჟის ხერხებით და კამერის საუცხოო, რევოლუციური მოძრაობით რეჟისორი გვაჩვენებს მონიკას განცდებს და გვაგრძნობინებს მის დანგრეულ ფსიქოლოგიას. სწორედ სუბიექტური კამერის უხეში მოძრაობა აქცევს მაყურებელს მთავარ გმირად.

ამ ხერხის გამოყენებაში კალატომიზილი საბჭოთა კინოს პიონერია. მართალია, მსოფლიოში ჰიჩკოკი და გერმანელი რეჟისორები მანამდე იყენებდნენ სუბიექტურ კამერას, თუმცა ამ კონკრეტულ კინოსურათში დიდად ამ ხერხის მნიშვნელობა შინაარსის გადმოცემაში. უამრავი მონაკვეთი შეიძლება შევაფასოთ, როგორც კინომეტაფორა. თუნდაც როგორ დატრიალდება დატრიალი ბორისი არყის ხეებში და ამ კადრთან ერთად ვხედავთ კიბეებზე არბენის კადრებს.

ეს ფილმი ადამიანური გრძნობებისა და მორალის გადმოცემის უბადლო მაგალითია. პერსონაჟთა შინაგანი სამყარო მარტივად და მოკლედ იშლება. მაგალითად, როცა ფიოდორ ივანოვიჩი გაიგებს, თუ რის ხარჯზე არ წავიდა მარკი ომში - თავის მიაშიტ, კეთილ ხასიათთან ერთად გვიჩვენებს მარკის ეგოისტურ და უღირს სახესაც. მაგრამ წეროები? საით მიფრინავენ ან რატომ? ისინი ჩნდებიან დასაწყისში. როცა მონიკა და ბორისი უყურებენ წეროებს, ამ დროს სარწყავი მანქანა ასველებს მათ. ბორისი ხუმრობით ეუბნება მონი-



კას - „აი, შენი წეროები“. ფინალში კი. როცა ყველა ბედნიერია, საბჭოთა ადამიანი გამოდის და ქადაგებს, რომ ყველაფერს გააკეთებენ შემდეგი ომის თავიდან ასაცილებლად. აქ ჩვენ ვხედავთ კონიუნქტურულ ეპიზოდს, თუმცა მას შემდეგ, რაც იმავე გმირს ხელში აჭყავს ბავშვი, ყველაფერი ნათელი ხდება. ის სუფთა ცის ფონზე ამჩნევს წეროებს და ყველანი მთავარ გმირთან ერთად უყურებენ, როგორ მიფრინავენ წეროები. შემდეგ კადრში შემოდის ფიოდორ ივანოვიჩი და მიჰყავს მონიკა. ნათელია, რომ დასაწყისშიც და ფინალშიც წეროები ერთგვარი ილუზიაა, რომელიც პერსონაჟებს სამყაროდან წყვეტს. დასაწყისში სარწყავი მანქანა რეალობაა, რომელიც ცივ წყალს ასხამს წყვილს და ისე გამოჰყავს ამ ლამაზი ილუზიიდან. ფინალში კი ფიოდორ ივანოვიჩს, ყველაზე მორალურ პერსონაჟს, მინიჭებული აქვს ე.წ. ცივი შხაპის ფუნქცია. ფილმი მეორე მსოფლიო ომზეა გადაღებული, თუმცა სურათი უფრო ადამიანების გან-



ცდების ომს გვიჩვენებს უნიკალური მეტაფორებითა და რეჟისორული ხედვით, რომელსაც მოგვიანებით პაბლო პიკასოც კი აღნიშნავს. ვიქტორ როზოვის იმავე სახელწოდების პიესა უფრო მელოდრამატულია, კალატომიზილიმა კი გვაჩვენა მაგალითი, თუ როგორ უნდა იმუშაო სცენართან. ხაზგასასმელია ასევე სერგეი ურუსევსკის საოპერატორო გენიალურობა, თუმცა ეს კადრები და ფორმები რეჟისორული გადაწყვეტით ფილმის მთავარი სტრუქტურაა. სწორედ ამით ხდება ეს კინო რევოლუცია და პროტესტი საბჭოთა კავშირში.

ნიკოლოზ ფუტკარაძე

## სტობს თოჭინა შობო, ვიდრე არაფერი



ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა, თავისუფლებისკენ ლტოლვა, მემბოხეობის განცდა, რომ გასცდე ჩაკეტულ ჩარჩოებს, მარიონეტული ყოფა... პრობლემები, რომლებიც ფედერაციო გარსია ლორკამ XX საუკუნის 30-იან წლებში თავის პიესაში „ბერნარდა ალბას სახლი“ ასახა, ამჟამად, ინტერპრეტაციებითა და სიმბოლო-მეტაფორებით დატვირთული, მათა დობორჯინიძის რეჟისორობით ამავე სახელწოდების სპექტაკლი დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრში წარსდგა მაცურებლის წინაშე. წარმოდგენის დაწყებისთანავე იგრძნობა სამგლოვიარო გარემო, რომელსაც უფრო ამძაფრებს თავზარდამცემი მუსიკა და ძაძებში მოსილი მსახიობები, რომლებიც აფორიაქებულნი დაიარებიან პარტერში. პიესის „ბერნარდა ალბას სახლი“ დადგმა უდიდეს პასუხისმგებლობას მოითხოვს, რადგან არაერთხელ დადგმულა ქართულ სცენაზე და ასევე, არაერთხელ დიდი ოსტატობით თქმულა ამბავი ტირანი ბერნარდას ოჯახისა, რომელსაც სურს, თავისი ნების შესაბამისად მოქმედებდნენ ოჯახის წევრები. თავისუფლება სწყურიათ, მათ სურთ გაქცევა ამ საპყრობილიდან, წყევლიან იმ დღეს, როცა ქალად დაიბადნენ, ღამით ცაზე ვარსკვლავებისა და ზღვის ნახვა ენატრებათ, მაგრამ არავის შესწევს ძალა წინ

აღუდგეს ყოველგვარ დესპოტიზმს, გარდა ადელასი, ბერნარდას ყველაზე უმცროსი ქალიშვილისა.

განსხვავებით ლორკას პიესისგან „ბერნარდა ალბას სახლი“, სადაც დრამატურგმა ესპანური ხასიათით შეთხზა ნაწარმოები, აქ, დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრში შემოქმედებითი ჯგუფის ინტერპრეტაციით, სამსახიობო ოსტატობით, გამომსახველობითი საშუალებებით შეიქმნა ზოგადი, საყოველთაო სახე-ხატი ტირანობისა, თავისუფლებისკენ სწრაფვისა, რომელიც ყველა დროსა თუ სივრცეში ცოცხლობს. ცხოვრება გართულდა. ვთვლი, რომ დღევანდელ ყოფას მუსტად ასახავს რეჟისორ მათა დობორჯინიძის სადოქტორო-საკვალიფიკაციო სპექტაკლი - „ბერნარდა ალბას სახლი“ - ეხმიანება თუნდაც პოლიტიკურ, სოციალურ თუ ფსიქოლოგიურ პრობლემებს... ამიტომ ვფიქრობ, სპექტაკლი „ბერნარდა ალბას სახლი“, რომელიც დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრში წარსდგა, საყოველთაოა, განურჩევლად რასისა, სოციალური ფენისა, გენდერისა თუ ასაკისა. გლობალურ პრობლემატიკას ხაზს უსვამს მუსიკალური გაფორმებაც. გამოყენებულია გერმანელი კომპოზიტორების ნაწარმოებები, როგორებიც არიან, იოჰან სებასტიან ბახი, მაქს რიხტერი.

მინდა გამოვყო ვახშმის სცენა - ლურჯი განათება, პერსონაჟები სუფრას აწყობენ, პარალელურად ისმის ბახის ნაწარმოები „მათეს პასიონი“ - ვფიქრობ, ეს არის ბიბლიური მეტაფორა „საიდუმლო სერობისა“ - გრძელი ღამეა. ადელა, საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად გაღების წინა ღამეს ოჯახის წევრებთან ერთად იყო. ის არის ყველაზე ახალგაზრდა პერსონაჟი, რომელიც აღუდგა დესპოტიზმს. მემბოხე ადელას გაცოცხლება სცენაზე კი, როგორც სულიერ, ფიზიკურ, ასევე უდიდეს ფსიქოლოგიურ მზაობას მოითხოვს არტისტისგან, რადგან მან უნდა გადმოსცეს ძლიერი პროტესტის შეგრძნება, რომელიც ეუფლება პერსონაჟს. გამომსახველობითი ხერხებით კი უნდა შეძლოს გადმოსცეს თავისუფლების ჟინი, იბრძოლოს იმისთვის, რომ გასცდეს ამ ჩარჩოებს, ამიტომ დიდი მისია აკისრია მსახიობ ნინო ანანიაშვილს. ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ პერსონაჟის ამბიციების და თავისუფლების სურვილის გამომჟღავნება, უტრირებულად კი არ ჟღერს, ვთვლი, რომ ამის გათავისება ნამდვილად სჭირდება იმ არტისტს, რომელიც აცოცხლებს ადელას სცენაზე.

დიდი პასუხისმგებლობა ხვდა წილად მსახიობ ლილი ხურითს, რომელმაც თითქოს ბერნარდას



ორი სახე წარმოაჩინა. ვფიქრობ, მან უმეტესწილად დესპოტი პერსონის ტიპაჟი გაარეალურა, თუმცა მისი ხმის ტემბრში შესაძლებელი იყო უფრო მეტი სიმძაფრე, რათა ბერნარდას მკაცრ ხასიათს დრამატული ტემბრითა და ინტონაციებით მეტად შეეძრა მაყურებელი. ამავდროულად, არტისტის მიმიკასა და ჟესტიკულაციაზე შეიმჩნეოდა ის გრძნობა, რასაც დედაშვილური გრძნობა ჰქვია. რამ აიძულა უხუცეს პერსონაჟს ეთქვა სიტყვები: „სჯობს თოჯინა შობო, ვიდრე არაფერი“ – თავისმა შვილმა, ბერნარდამ ის გამოკეტა, წაართვა მთავარი – თავისუფლება, რაც მარიასთვის ღირებულები იყო. ადამიანს ხომ გააჩნია ცხოვრებაში ისეთი ფასეულობები, რომლითაც თავის არსებობას აზრი ეძლევა, ამიტომ ვფიქრობ, რომ მარია ხოსეფამ ეს ღირებულები პოვა სწორედაც რომ იმ თოჯინაში, რომელსაც სცენაზე დააკონწიალებს – უსულო, მაგრამ სიცოცხლის, სილალის მომნიჭებელი, მეტაფორული თოჯინა. მსახიობ ლილი ხურითის პერსონაჟის ტირანობას ხაზს უსვამს ის ერთ-ერთი სიმბოლური ნივთი – წითელი მარაო – რომელსაც შემოთებით აკვირდება, თითქოს წარმოაჩენს მის სახეს. პირველ მოქმედებაში ბერნარდას გამოჩენა სცენაზე შთამბეჭდავი იყო თავისი მიმიკით, ჟესტიკულაციით და იმ სიმბოლური მოქმედებით, რომლითაც, ბიბლიური თვალსაზრისით, განასახიერებს პილატეს მდგომარეობას – „ხელების განბანვა“ – რითაც ის თითქოს პასუხისმგებლობას იხსნის თავისი ქმრის სუიციდზე. არტისტის მოქმედებაში ჩანს



ბერნარდას, ანუ პერსონაჟის დამოკიდებულება ქმრის მიმართ, როგორ უდიერად, უტიფრად ექცევა აწ უკვე გარდაცვლილი მეუღლის ნივთებს, მისი სამოსის ადგილს კი დაიკავებს ბერნარდას პიჯაკი, რომელიც ერთგვარი მინიშნებაა ალბას მბრძანებლობისა. არტისტმა წარმოადგინა პერსონა თავისი მკაცრი და დიქტატორული ხასიათით, რომელიც ყველა ეპოქაში არსებობს და ამის მუდმივობას ადასტურებს იმ მეტაფორული ციტრუსით – ლიმონით, რომელსაც არ იშორებს. ზოგადად, სპექტაკლში გამოყენებულია როგორც ბიბლიური, ასევე მითოლოგიური სიმბოლიკა, და ვფიქრობ, ამ ციტრუსის ხაზი სწორედაც რომ მითოლოგიური გახლავთ (მითის მიხედვით დედამიწის ქალღმერთმა გეამ ჰერას (ზევსის მეუღლეს) უძღვნა მარადიული სიტაბუკის, ახალგაზრდობის მიმნიჭებელი ლიმონის ნაყოფით დახუნძლული გასაოცარი ხე).

როგორც უკვე აღვნიშნე, სპექტაკლი დატვირთული იყო საინტერესო სიმბოლო-მეტაფორებით და ის საკითხი, თუ რატომ არის დღესაც აქტუალური ლორკას შემოქმედება, ნათელია – იმ პრობლემებიდან (რომლებიც სხვადასხვა ინტერპრეტაციით შეიძლება გადმოიცეს), რამაც რეჟისორი აიძულა დაედგა და გაეცოცხლებინა სცენაზე პიესა „ბერნარდა ალბას სახლი“.



**ნინო გაბდავა**  
IV კურსის სტუდენტი



# ლახვასვილი

## ყავა, კლავი და ორი მეგობარი

სითხისგან გამომშრალი ცხელი ყავის ჭიქას ისე დავეწაფე, როგორც მოძალადე ქალის მკერდს. აშკარად არაა ჩემი წვეულებები და გათენებამდე სმა. ახლა კი დილის 5 საათია. უკვე თენდება და აივანზე ტახტზე ჩასვენებული ვცდილობ მთელი დღის ბრძოლის შემდეგ, ძალების აღდგენას, რომ რამდენიმე საათში სახლში წავიდე. ვზივარ და გავცქერი რაოდენ საინტერესოა გათენება. ადამიანის თვალი ხშირად ვერ აფიქსირებს, როგორ თენდება ან ღამდება, რადგანაც მას ეს არ აინტერესებს. მე კიდევ ბავშვობაში შემინიშნავს, რომ უცბად თითქოს გაიფრთხილებოდა, და ცა ერთი ტონით მუქი ხდებოდა. ახლაც ამ დაკვირვებას ვახორციელებ, ოღონდ დღის შუქზე. პარალელურად ყავას ვსვამ, პლავი მაქვს მოსხმული მანტიასავით. ეს კი ჩემი ბედნიერების პიკია. რა სჯობს მეგობრებთან ურთიერთობით დაღლის შემდეგ აივანზე დასვენებას. ამ განცხრომაში, უცბად, ჩუმი ოდნავ ნაბახუსევი ქალის ბარიტონში გადასული ხმა მომესმა:

- არ გძინავს, სწიოპ ?

თეკლას გაუღვიძია. მანაც დიდი ბრძოლა გადაიტანა, ჩემი არ იყოს.

- არა, არ დამეძინა.

- რატო ?

- არ ვიცი, წესით უნდა გავთიშულიყავი, იმდენი დავლიე.

- ხოო, მეც ნამეტანი ბევრი მომივიდა.

- ყავა არ გინდა? გამოგიყვანს ცოტა, ძია კაცის ხმაზე რომ ხარ.

- დავაი რა (იციანის), ახლა არაფერი მინდა სუფთა ჰაერის გარდა.

- კაი, მაშინ ისუნთქე და იყავი. კიკეთში ჰაერის მეტი არაფერია.

- კი, კი, კი...

- ხოო...

რამდენიმე წუთით ასე ვისხედით, დუმილს ზოგიერთი ჩვენი მეგობრის ფშვინვა, ჩიტების ფრთხილი და ტყის შრაშუნი არღვევდა. საერთო ჯამში, იოგისთვის საოცარი, მშვიდი ხმაურია. კაცი რომ დაჯდეს, ერთ 40 წუთში ნირვანაშიც კი შეიძლება გავიდეს. ცოტა ხანი ვცადე ნაბახუსევზე მედიტირება, მაგრამ დუმილი თეკლამ დაარღვია:

- აუუუ, შემცივდა ძაან, პლავი აღარ არის?

- არა, ძლივს ავწაპნე ზუკას ყურის ძირიდან. მოდი, ჰა, შემო თუ გინდა.

წამოვვექი, ცოტა და მარჯვენა ხელით პლავი მაღლა ავწიე, რომ თეკლა შემოსულიყო.

- ოო, მადლობა.

თეკლაც დაიძრა, შემოვიდა პლავის ქვეშ და ისე მო-

მეხვია სხეულზე, ცოტახნით გაოგნებული ვიყავი. გავმორი, გავიყინე, ასე მეგონა, მტაცებელი ცხოველი შემომეხვია და თუ რაიმე სწრაფ მოძრაობას გავაკეთებდი, დამგლეჯდა. მეც ნელა დავაფარე პლავი და ისევ ცოტაოდენ მივეყრდენი ტახტს. უცბად გულმა სწრაფად იწყო ფეთქვა და მუცელში პეპლებმა დაიწყეს ფრენა. წამიერად, ისე მესიამოვნა მისი სხეულის სითბო, მინდოდა ეს წამი სამუდამო ყოფილიყო. ვისხედით ასე ჩახუტებულები, ჩუმად და ვგრძნობდით ერთმანეთის სუნთქვას. რაღაც მომენტში, სინქრონული რომ გახდა. რამდენიმე წუთში ისევ თეკლამ დაარღვია დუმილი:

- სწიოპ, იცი, მიყვარხარ.

- უიმე, ეს რა მოგსვლია.

- კაი რაა, მართლა მიყვარხარ.

- როდიდან?

- რა როდიდან?

- როდიდან გიყვარვარ ? დიდი ხანია თუ ახლა, ამ პეიზაჟმა, პლავის გაზიარებამ და ნაბახუსევმა იმოქმედა რაღაცნაირად?

- არაა, დიდი ხანია, სადღაც, 5-ნ თვეა.

- ნუუ, არც ისე დიდი დროა, მაგრამ კაი.

- რა კაი?

- არაფერი, რა იყო?

- არაფერს იტყვი?

- რა უნდა ვთქვა?

- რავი, ან მითხარი, რომ შენც გიყვარვარ, ან მოგწონვარ, ან რამე.

- თეკ, მომწონხარ, მიყვარხარ, მაგრამ, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, მეგობრულად.

- რაა?

- რა, რა?

- ასეთი უხეში პასუხი ჯერ არ მომისმენია ცხოვრებაში.

- ნუუ, შენ რას მოისმენდი, გოგო ხარ, თან ლამაზი ბიჭები შენს გამო ჭამდნენ ერთმანეთს.

სიყვარულზე უარყოფითი პასუხი კი, ნებისმიერ შემთხვევაში, გულსატკეპია.

- ანუ, შენ არც კი მოგწონვარ როგორც გოგო?

- მართალია, არ მომწონხარ. - დაიცა, აბა რამდენიმე თვის წინ რომ მითხარი - მომწონხარო და ერთად ვიყოთო?

- ხოო, მომწონდი, მაგრამ უარი რომ მითხარი, მაგის მერე აღარ მომწონხარ.

- ასე მალე ? და იმ ყველაფრის გამო მსჯი?

- კი, ასე მალე და დასჯა რა შუაშია, არ გინდოდა მაშინ.

- არადა მომწონდი.

თეკლას უცბად თვალებზე ორი მარგალიტისებრი



6 გვ.

ცრემლი აუციმციმდა და მძიმედ ჩამოუვარდა.

- აბა უარი რატომ მითხარი?
- არ ვიცი, სახლში ვიჯექით, არ მინდოდა ურთიერთობა გვექონოდა და ერთმანეთი ვერ გვენახა.
- და მაგის გამო დამადე ? - დაგადე რა... მაგიტომ არ გწერდი პასუხს რამდენიმე დღე, სანამ არ მომაწეცი.
- მოგაწეცი რა, დავიტანჯე, თითქმის ერთი კვირა პასუხი არ მოგიწერია.
- რა მექნა ? არც უარის თქმა მინდოდა, მაგრამ „დაბრო“ რომ მომეცა, მერეც არ ვიცოდი როგორ მოვეცეულიყავი. ვიცი, სულელურად მოვიქეცი. ალბათ, შენც როგორ გატიკნე გული ამ ჩემი საქციელით. ხანდახან ყველაფერს როგორ ვართულებთ, როცა მარტივი პასუხიც კი საკმარისია.
- ხო, ეგრეა, რას ვიზავთ.
- ამ დროს მზეს უკვე წამოეყო თავი და იწყებდა ნახევარი სამყაროს “D” ვიტამინით გამდიდრებას. მე და თეკლა კი ვისხედით ტახტზე. სხვებს ჯერ ეძინათ, ამიტომ თავს დაცულად ვგრძნობდით. ყოველ შემთხვევაში, თეკლა მაინც. ის მე მიყურებდა, მე -მზეს. ცოტახანი ისევ გავჩუმდით, საკუთარ თავთან კამათი დავიწყე; ყველაფერის მიუხედავად, „დაბრო“ ხომ არ მიმეცა? მაგრამ, იმ უარის მერე, ის ბიჭი? ან ამდენი ხნის განმავლობაში - იგნორი ? არაა, არ მივცემ, დაე, დაისაჯოს. ან, იქნებ დიდსულოვნება გამოვიჩინო და ბოროტებას სიკეთით ვუპასუხო. არაა... თან ხო ვთქვი, აღარანაირი რომანტიკული ურთიერთობები.
- ახლა მე დავარღვიე დუმილი:
- თეკ, მისმინე, ყველაფერის მიუხედავად, უბრალოდ, ასეთი ბუნება მაქვს, რა ვქნა. ადამიანი, განსაკუთრებით, გოგო რომ უარს მეტყვის, იქ მთავრდება ყველაფერი. გთხოვ, პირადულად არ მიიღო რაა.
- კი, მაგრამ, მართლა ძალიან მიყვარხარ და რა ვქნა.
- და რატომ გიყვარვარ ?
- არ ვიცი, ალბათ იმიტომ მიყვარხარ, რომ კარგი ადამიანი ხარ. ჭკვიანი, ძაან კარგი იუმორის გრძნობით და, რავი, ძაან ნიჭიერი ხარ.
- გამოდის, მე კი არა, ჩემი კონკრეტული თვისებები გყვარებია.
- ვერ გავიგე ?
- იმის თქმა მინდა, რომ შენ მე კი არ გიყვარვარ, შენ ის თვისებები გიყვარს, რომელიც მე მაქვს. შენ ის სწიოპა გიყვარს, რომელიც ფილოსოფიურ კამათშია ჩაბმული, სადაც მოწინააღმდეგეს ამარცხებს. ან, ის სწიოპა გიყვარს, რომელიც ხუმრობს, ან კიდევ, უბრალოდ, მის და მზეს უყურებს. მაგრამ, ის სწიოპა აშკარად არ მოგეწონება, ალერგიული შეტევისას თავ-პირი რომ წებოვანი აქვს. სახეზე ერთმანეთში რომ ებილება ცრემლი და ცხვირიდან წამოსული სითხე.
- ეგ რა შუაშია ?
- თავშია, შენ ჩემი კონკრეტული მოცემულობის სწიოპა გიყვარს, სადაც ის იდეალურია შენთვის, მაგრამ

- იმ სწიოპაზე არც კი გიფიქრია, სადაც ის შეიძლება საზიზღარი ან გამაღიზიანებელი იყოს.
- ამ დროს უნებურად პლედი წავართვი, მაგრამ მივხვდი ჩემს უზნეობას და ისევ გავუწოდე. ისევ გავაგრძელე;
- მოკლედ, მე ისეთ ადამიანს ვეძებ, ვისაც არა ჩემი თვისებები, არამედ ჩემი არსებობა ეყვარება თავისი ნაკლით და იდეალებით.
- თეკლა იჯდა და მიყურებდა, სითხისგან დაცლილი გონებით ცდილობდა ჩემი ნალაპარაკები გაეანალიზებინა. მე ჩემს ფიქრებში ვიყავი წასული, თავს ვიწყნარებდი, რადგან ვხვდებოდი, თუ რაოდენ საშინელია სამყარო მისთვისაც და ჩემთვისაც. უცბად თეკლამ თქვა:
- მივხვდი, რისი თქმაც გინდა. მართალი ხარ. როგორც ჩანს შენს სტანდარტებს ვერ ვაკმაყოფილებ.
- ეტყობა.
- პასუხი ცოტა მკაცრი გამომივიდა და დავამატე;
- ეს უკვე ჩემი პრობლემაა, შენ არაფერ შუაში ხარ, კარგი გოგო ხარ მართლა, იმედი მაქვს მალე იპოვი ვინმეს, ვინც ჩემ თავს დაგავიწყებს.
- იმედია.
- ორივენი ისევ დავდუმდით. ალბათ, საუკუნე ვიქნებოდით ასე ჩუმად. ის ჩემი შემცქერი, მე კიდევ - მზის. მაგრამ, ამ დროს, მეგობრებს გაღვიძებოდათ და ფუსფუსებდნენ სამზარეულოში.
- კოტემ თავი გამოყო:
- რას შვებით, გვრიტებო, არ გზიათ? ან ყავა არ გინდათ ?
- „გვრიტებოზე“ ისე შემაკანკალა, მგონი თეკლამაც დაინახა და ეწყინა. თეკლამ უთხრა:
- მე დავლევ.
- შენ არ გინდა, სწიოპ ?
- არა, უკვე დავლივ.
- ორივენი შევიდნენ, თეკლამ პლედი დამიტოვა და კოტესთან ერთად სახლში შევიდა. მე დავრჩი მზის შემყურე. რაღაც მომენტში ამაყი - როგორც იქნა, მე გოგოს იქეთ „დავადე“, მაგრამ მოწყენილი - რადგან ჩემი თავი მის ადგილზე წარმოვიდგინე. ყველაფრის მიუხედავად, მძიმეა, როცა ვიღაც გიყვარს, ათასი სცენარი გაქვს წარმოდგენილი შენს გონებაში, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ამ ათასიდან კი მხოლოდ ერთია უარი, ისიც მკრთალად და ზუსტად ის ერთი გამართლდება. ისიც ძალიან მკვეთრად და მკაცრად.
- ან, კი, ამას რად უნდოდა წარმოდგენა, ასეთი რამ ხო 10-ჯერ მაინც მაქვს განცდილი. მეცოდება თეკლა.
- ამ ფიქრებში გართული მზე აგრძელებდა ამოსვლას. უკვე იმ დონეზე იყო მისული, მისი ხილვა თვალს მჭრიდა. ამიტომ ავდექი, პლედი ხელზე დავიხვიე და შევეერთდი პოსტ-წვეულებას, სადაც წირპლიანი და გამომშრალი სახეების კოლექცია მელოდებოდა.

საბასტიან-ადელმო ფონ მახარშთაიმი